საწარმოს ბიზნეს რისკების დინამიკის პროგნოზირება გენეტიკური ალგორითმის გამოყენებით

მიხეილ კაპანაძე
ელფოსტა: mikheil.kapanadze@tsu.ge
კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი 0174
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, მე-2 კორპუსი

წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება დისკრეტული ფაზი-დინამიკური სისტემის (დფდს) იდენტიფიკაციას და მოდელირებას, რომელსაც ახასიათებს შესაძლებლობითი განუზღვრელობა, გენეტიკური ალგორითმების ტექნოლოგიის საშუალებით. აიგება ფაზი-რეკურენტული პროცესი, რომლის წყაროც ექსპერტული ცოდნის ასახვაა ევოლუციური რთული სისტემის მდგომარეობებზე. დფდს-ის დინამიკა აღიწერება და აგებული მოდელი გარდაიქმნება სასრულ მოდელში.ხდება დფდს-ის გადასვლის ოპერატორის აგება, ექსპერტული ცოდნის თვალსაზრისით, შესაძლებლობითი განუზღვრელობით. მიღებული შედეგები ილუსტრირებულია პროგნოზირებისა და გაჩერების ამოცანაზე საწარმოს ზრდადი ბიზნეს რისკების შეფასებისათვის.

საკვანძო სიტყვები: დფდს, დფდს იდენტიფიკაცია, გენეტიკური ალგორითმი, ბიზნეს რისკები